შპს „გებრიუდერ ვაის", საიდენტიფიკაციო კოდი: 404931972,
ტვირთის ტრანსპორტირების (სატრანსპორტო ექსპედიციის) პირობები

ტვირთის ტრანსპორტირების (სატრანსპორტო ექსპედიციის) წინამდებარე პირობები (შემდგომში „პირობები") მოქმედებს შპს „გებრიუდერ ვაის"-ის (შემდგომში „ექსპედიტორი") მიერ განხორციელებულ ტვირთების ტრანსპორტირებაზე (სატრანპორტო ექსპედიცია) და შესაბამის ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან (შემდგომში „შემკვეთი") გაფორმებულ ტვირთის ტრანპორტირების (სატრანსპორტო ექსპედიციის) ხელშეკრულებებზე (შემდგომში „ექსპედიციის ხელშერკრულება").

წინამდებარე პირობები ვრცელდება ექსპედიციის ხელშეკრულებაზე (და ავსებს მას). პირობებსა და ექსპედიციის ხელშეკრულების კონკრეტულ დებულებას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, ექსპედიციის ხელშეკრულების კონკრეტულ დებულებას ენიჭება უპირატესობა.
ექსპედიტორი და შემკვეთი ერთობლივად ასევე მოხსენიებულნი იქნებიან როგორც „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე".

მუხლი 1. საგანი

1.1 ექსპედიტორი, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესაბამისი პროვიზიის (შემდგომში „**ტრანსპორტირების ღირებულება**" ან „**ღირებულება**") აუცილებელი მიღების პირობით, შემკვეთის დავალებით ახორციელებს ტვირთების მულტიმოდალურ (საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო და სხვ.) გადაზიდვების ორგანიზებას.

1.2 ექსპედიტორი შემკვეთის სურვილის შემთხვევაში და შემკვეთის დავალებით, როგორც შემკვეთის წარმომადგენელი, ახორციელებს შემკვეთისათვის ტვირთვის/საქონლის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით განბაჟების მიზნით საბაჟო პროცედურების მოქმედებების შესრულებას (საქონლის წარდგენას საბაჟო გამშვებ პუნქტში, საბაჟო ტერმინალში, საბაჟო საწყობში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, საბაჟო კონტროლის სხვა ზონაში ან საგადასახადო ორგანოს მიერ მითითებულ სხვა ნებისმიერ ადგილას, საბაჟო დეკლარაციის წარდგენას/შევსებას) შემკვეთის სახელითა და ხარჯით ან საკუთარი სახელითა და შემკვეთის ხარჯით საგადასახადო კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული წესით („ექსპედიტორი" უფლებამოსილია შემოსავლების სამსახურისგან მიიღოს საბაჟო დეკლარაციები შემდეგ მისამართზე: customs.ge@gw-world.com). წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არის სასყიდლიანი,

1.3 საჭიროების (ცალკეულ) შემთხვევაში, ექსპედიტორი უფლებამოსილია მიაწოდოს შემკვეთს „პრაის ლისტი", სადაც ასახულია ექსპედიტორის მიერ დაწესებული ტრასნპორტირების ღირებულება და ტრანსპორტირების მარშრუტები რომელიც მოქმედებს „პრაის ლისტში" მითითებული ვადით, აგრეთვე საბაჟო პროცედურების განხორციელებაში ექსპედიტორის მონაწილეობის შემთხვევაში, ექსპედიტორის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულებას. ექსპედიტორის „პრაის ლისტი" საჭიროებისას (საწვავის ფასის, საზღვაო ხაზის ტარიფების ზრდა, და ა.შ.) ექვემდებარება პერიოდულ კორექტირებას ექსპედიტორის მიერ. ექსპედიტორი აცნობებს შემკვეთს განახლებული „პრაის ლისტის" თაობაზე აღნიშნული ცვლილებების მიღებისთანავე და/ან კონკრეტული გადაზიდვის დაწყების მომენტამდე. ყველა შემთხვევაში, ტრასნპორტირების და საბაჟო პროცედურებში წარმომადგენლობის ღირებულების ოდენობა, რომელსაც შემკვეთი უხდის ექსპედიტორს, დეტალურად განისაზღვრება/დაანგარიშდება და თანხმდება მხარეთა შორის (მათ შორის ელექტორნული ფოსტის ფორმით) თითოეული/კონკრეტული გადაზიდვასთან მიმართებაში. სხვა სახის (დამატებითი) ხარჯების ექსპედიტორისთვის ანაზღაურება მოხდება დამოუკიდებლად.

1.4. ტვირთების ტრასნპორტირების ორგანიზების/განხორციელების პროცესში, ექსპედიტორი უფლებამოსილია გამოიყენოს საკუთარი სატრასნპორტო საშუალებები ან კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე, ტვირთის გადაზიდვა (მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე) მიანდოს/დაავალოს მესამე პირებს (გადამზიდველებს).

1.5 ტვირთების ტრასნპორტირების ორგანიზების/განხორციელების პროცესში, ექსპედიტორი უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულებები ცალკეულ გადამზიდველებთან, ასევე ნავსადგურებთან, გემთმფლობელ კომპანიებთან და/ან მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, როგორც თავისი სახელით, ისე შემკვეთის სახელითა და ხარჯზე, ექსპედიტორი იმოქმედებს შემკვეთის ინტერესების შესაბამისად, როგორც ამ

უკანასკნელის წარმომადგენელი.

1.6 საფრთხეშემცველი საქონლის ტრანსპორტირებისთვის (ADR/RID/IMCO/DGR და ა.შ. მიხედვით) აუცილებელია წინასწარი შეთანხმება. შემკვეთმა უნდა განახორციელოს საფრთხეშემცველი საქონლის იმგვარი შეფუთვა და მარკირება, რომ ისინი შეესაბამებოდეს ამგვარი საქონლის გადაზიდვის, გადაადგილებისა და შენახვისთვის კანონმდებლობით (მათ შორის საერთაშორისო კონვენციებით) გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ასევე თან ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტაცია. ექსპედიტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს საფრთხეშემცველი საქონლის (განსაკუთრებით ADR კლასი 1 და 7) მიღებაზე.

1.7 განსაკუთრებით შემდეგი საქონელი არ ექვემდებარება შენახვასა და/ან ტრანსპორტირებას: ძვირფასი ლითონები (დაუმუშავებელი ან ნებისმიერი ფორმით დამუშავებული), სამკაულები, ძვირფასი/საიუველირო ქვები, ფულის ნიშნები, ნებისმიერი სახის ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტები და საბუთები, ფარმაცევტული საქონელი, რომელიც განსაკუთრებულ ტემპერატურულ რეჟიმს მოითხოვს, იარაღი და აღჭურვილობა, შინაური პირუტყვი, ასევე იმგვარი ნივთიერებები, რომელთა შენახვისათვის დადგენილია განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი (მაგ. წყალსაშიში ნაერთები/ნივთიერებები).

1.8 შესაფუთი მასალის, პალეტების და მსგავსი მასალის დაბრუნების და/ან გაცვლისთვის საჭიროა წინასწარი წერილობითი შეთანხმება.

1.9 კონტეინერების ან სატვირთო მანქანების მიწოდების შემთხვევაში, შესაბამისი დემერეჯის (ჯარიმის) დარიცხვა მოხდება წინასწარ შეთანხმებული პირობების/გრაფიკის მიხედვით.

1.10 მომსახერების (სატრანსპორტო ექსპედიის) გაწევა ხორციელდება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების, როგორიცაა მაგ. მონრეალისა და ვარშავის კონვენციები, ჰააგისა და ჰამბურგის წესები, CMNI კონვენცია და ა.შ.) მოთხოვნათა დაცვით (შემდგომში „მოქმედი კანონმდებლობა“). მომსახურების (სატრანსპორტო ექსპედიის) გაწევა (მათ შორის კონკრეტული ექსპედიციის ხელშეკრულება) ასევე ექვემდებარება ექსპედიტორთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (FIATA) მიერ შემუშავებულ წესებს ექსპედიტორთა სერვისების თაობაზე (შემდგომში „FIATA-ს მოდელური წესები“), რომელიც მოცემულია FIATA-ს ვებ-გვერდზე (http://www.fiata.com/uploads/media/Model_Rules_05.pdf), იმ დათქმით თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება იმპერატიულ საკანონმდებლო დანაწესებს ან საერთაშორისო კონვენციებს.

1.11 წინამდებარე პირობების 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურების მიზნით, ექსპედიტორი ახორციელებს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის, გატანის და გაფორმებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, საქონლის როგორც ზოგად, ისე საბაჟო დეკლარირებას საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით საქონლის სასაქონლო ოპერაციის (იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი, საწყობი, თავისუფალი ზონა, დროებითი შემოტანა, შიდა გადამუშავება, გარე გადამუშავება) ქვეშ მოქცევის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ექსპედიტორი არის საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი და აქვს დაშვება შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა “ASYCUDA”-ში, ექსპედიტორი უფლებამოსილია გამოიყენოს საბაჟო დეკლარაციის წარდგენის კანონით ნებადართული ის საშუალება, რომელიც მიზანშეწონილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და წარდგენა განახორციელოს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით,

1.12 ექსპედიტორი საბაჟო მომსახურების განხორციელების დროს უფლებამოსილია წარმოადგინოს შემკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო კონტროლის სხვა ზონაში (საბაჟო ტერმინალი, საბაჟო საწყობი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა).

1.13 ექსპედიტორი უფლებამოსილია უარი თქვას საქონლის განბაჟებასთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულებაზე, თუ შემკვეთი არ ასრულებს ან აჭიანურებს წინამდებარე პირობების 2.2.15. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცნობების წარდგენას. ამ შემთხვევაში საქონლის შენახვის, ჩამოტვირთვის, აგრეთვე ცნობების წარუდგენლობის შედეგად გამოწვეულ სხვა ხარჯზე სრულად არის პასუხისმგებელი შემკვეთი. იმ შემთხვევაში, კი თუ ექსპედიტორმა დაიწყო საბაჟო პროცედურების განხორციელება, ხოლო საბაჟო პროცედურების დასრულება ვერ მოხდა შემკვეთის მიერ საჭირო ცნობების, დოკუმენტების წარდგენის ვადის გადაცილების გამო, საგადასახადო ორგანოების მიერ რაიმე სანქციის, მათ შორის, საქონლის განკარგვის

შემთხვევაში, შემკვეთისათვის მიყენებულ ზიანზე ექსპედიტორი არ არის პასუხისმგებელი.

აღნიშნული მუხლი გამოიყენება საჰაერო გზით ექსპედიციის განხორციელების შემთხვევაში:

1.14 ნებისმიერი და ყველა გზავნილი უნდა შემოწმდეს უსაფრთხოების მიზნებისთვის თვითმფრინავში ჩატვირთვამდე. შემკვეთი თანხმდება გზავნილების ხელით შემოწმებას და ამ მიზნით შეფუთვის გახსნას. ამ შემთხვევაში ექსპედიტორს დაეკისრება პასუხისმგებლობა მხოლოდ განრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისთვის, რისი მტკიცების ტვირთიც ეკისრება შემკვეთს. ექსპედიტორი არ არის ვალდებული განახორციელოს ასეთი უსაფრთხოების შემოწმება.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 ზოგადი დებულებები

2.1 მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და დროულად/დათქმულ ვადებში შეასრულონ ყველა ის მოთხოვნა და პირობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით წინამდებარე პირობებით და ექსპედიციის ხელშეკრულებით არის დადგენილი.

2.1.2 მხარეები ვალდებულნი არიან ყველანაირი დახმარება გაუწიონ ერთმანეთს და მიაწოდონ ურთიერთს ყველა ის ძირითადი თუ დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმცია, რაც აუცილებელია წინამდებარე პირობებისა და ექსპედიციის ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად.

2.1.3 მხარე, რომელმაც დაარღვია თავის მოვალეობები, ვალდებულია დაუყოვნებლივ გმოასწოროს შესაბამისი დარღვევა (დარღვევები).

2.2 შემკვეთის ვალდებულებები

2.2.1 შემკვეთი ვალდებულია ექსპედიტორის მიერ გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე სრულად და ამომწურავად მიაწოდოს მას შემდეგი აუცილებელი მონაცემები რაც აუცილებელია როგორც კონკრეტული ტრასნპორტირების ღირებულების დასადგენად, ასევე ექსპედიტორის მიერ ტვირთის ტრასნპორტირების სათანადო ორგანიზებისა და საბაჟო პროცედურების გასავლელად:

(ა) გადასაზიდი კონკრეტული ტვირთის მიწოდების პირობა; (ბ) გადაზიდვის საწყისი, შუალედური (არსებობის შემთხვევაში) და საბოლოო დანიშნულების პუნქტი ან პუნქტები; (გ) გადაზიდვის სასურველი მარშრუტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (დ) ტვირთის (საქონლის) ზუსტი და დეტალური აღწერილობა; (ე) ტვირთის შეფუთვის ტიპი, ზუსტი რაოდენობა და გაბარიტები; (ვ) ტვირთის ზუსტი წონა (ბრუტო და ნეტო); (ზ) საშიში/საფრხთეშემცველი ტვირთების შემთხვევაში, ამგვარი ტვირთის სახე, აღწერილობა ასევე საშიში/საფრთხეშემცველი ტვირთების საერთაშორისო კოდი, ნომერი, კლასი და შეფუთვის ჯგუფი **(UN No, IMO/ADR class, packing group,** და სხვ.); (თ) რეფრეჟირატორული (მალფუჭებადი) ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, ტვირთის გადაზიდვისას საჭირო ტემპერატურული რეჟიმი; (ი) არაგაბარიტული ტვირთის შემთხვევაში ტვირთის ნახაზი ზუსტი ზომებით; (კ) სხვა ნებისმიერი ინფორმაცია (ან დოკუმენტი) ტვირთის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ტვირთის გადაზიდვის ტექნოლოგიაზე და უსაფრთხოებაზე (აქციზურობა, დასაწყობების და ტრანსპორტირების თავისებურებანი, ფიტო-სანიტარული და ვეტ-სანიტარული მოთხოვნები და სხვ.), აგრეთვე საბაჟო დეკლარირებაზე. ექსპედიტორი არ არის ვალდებული შეამოწმოს ასეთი მონაცემების ან დოკუმენტების სისწორე.

2.2.2 შემკვეთი ვალდებულია ტრასნპორტირების განხორციელებაზე (მათ შორის ღირებულებაზე) მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის შემდეგ, გადაზიდვის ორგანიზებისთვის მიაწოდოს ექსპედიტორს შესაბამისი ინფორმაცია წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით ტვირთგამგზავნისა და ტვირთმიმღების რეკვიზიტების, დატვირთვის და გადმოტვირთვის პუნქტების ზუსტი დასახელებისა და სრული მისამართის, ასევე საკონტაქტო პიროვნების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ტელეფონი, ფაქსი და ტვირთის აღწერილობის ზუსტი ჩვენებით არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა გადაზიდვის უშუალო დაწყებამდე. შეტყობინება ასევე შეიძლება მოიცავდეს წინამდებარე პირობების 2.2.1 პუნტში მითითებულ მონაცემებს. ამგვარი ინფორმაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის ელექტორუნული ფორმით/ელ-ფოსტის მეშვეობით და აქვს მავალებელი/ორიგინალის ძალა, წარმოადგენს ექსპედიციის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომლის საფუძველზეც განხორციელდება კონკრეტული ტრასნპორტირება.

2.2.3 „ექსპედიტორი“ არ ახორციელებს „შემკვეთის“ ტვირთების დაზღვევას (ტვირთის დაზღვევა) (გარდა „შემკვეთის“ მიერ დაზღვევის თაობაზე გაკეთებული წერილობითი მოთხოვნისა). შესაბამისად, ტვირთის დაზღვევაზე პასუხისმგებელია თავად „შემკვეთი“ საკუთარი ხარჯით.

2.2.4 შემკვეთი ვალდებულია შეამოწმოს შეთანხმებულ ადგილსა და დროს მიწოდებული ცარიელი სატრანსპორტო საშუალების ვარგისიანობა და მისი ტექნიკური გამართულობა, ხოლო უვარგისი ან ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ექსპედიტორს და მოსთხოვოს მისი შეცვლა.

2.2.5 შემკვეთი ვალდებულია დატვირთვის პუნქტში სატრანსპორტო საშუალებაში ტვირთის ჩატვირთვისას სრულად, ჯეროვნად და დროულად უზრუნველყოს მისი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მარკირება, შეფუთვა, ფიქსირება და ტვირთის საერთო წონის თანაბრად განაწილება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ტვირთის ან მისი შეფუთვის დაზიანება, სატრანსპორტო საშუალებების ან გადაზიდვაში მონაწილე მხარეთა მოწყობილობებისთვის, მათი და მესამე პირთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ზიანის მიყენება.

2.2.6 შემკვეთი ვალდებულია შეთანხმებულ ადგილზე (დატვირთვის ან განტვირთვის პუნქტში) და დროს უზრუნველყოს ტვირთის გაფორმება, სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვა-გადმოტვირთვა და როცა შესაძლებელია ასევე დალუქვა, ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად ამ ქვეყნებში მოქმედ ნორმატიულ ვადებში.

2.2.7 შემკვეთი ვალდებულია დატვირთვის/განტვირთვის პუნქტში, საბაჟო, სანიტარული, საკარანტინო ფორმალობებისა და ჩატვირთვის/განტვირთვის დამთავრებისთანავე გადასცეს ექსპედიტორს ან გადამზიდველს (ან მათ უფლებამოსილ წარმომადგენელს) ტვირთის თანმხლები, შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გაფორმებული და დამოწმებული, კომერციული და საბაჟო დოკუმენტაციის სრული პაკეტი.

2.2.8 შემკვეთი ვალდებულია დატვირთვის/განტვირთვის პუნქტში სატრანსპორტო საშუალების მისვლისას შეთანხმებულ ვადაში, შეასრულოს ექსპორტიორი/იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო (სანიტარული, საკარანტინო) კანონმდებლობით გათვალისწინებული ტვირთის საბაჟო (სანიტარული, საკარანტინო) გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა და მისი სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვა/გადმოტვირთვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ვალდებულება მხარეთა შორის შეთანხმების (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის საშუალებით) საფუძველზე დაკისრებული აქვს ექსპედიტორს.

2.2.9 შემკვეთი ვალდებულია ფაქტობრივი ტვირთის (დასახელებით, ხარისხით, წონით და სხვა მახასიათებლებით) პუნქტ 2.2.1-ის შესაბამისად ექსპედიტორისთვის მიწოდებული ინფორმაციათან შეუსაბამობის შემთხვევაში, სრულად და ჯეროვნად აანაზღაუროს ასეთი შეუსაბამობის გამოვლენის გამო გამოწვეული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი თუ ჯარიმა (მაგალითად, ტვირთის შესაბამის ტერმინალზე იძულებით შენახვა, ტვირთის შესაბამის საწყობში იძულებით შენახვა, ნავსადგურების თუ საზღვაო ხაზების მიერ დაწესებული დემერიჯი, მოძრავი შემადგენლობის მოცდენა, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების მიერ დაკისრებული სანქციები და სხვა).

2.2.10 შემკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტებში მონაცემების სიზუსტე და სისრულე, ასევე მათი გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის განაცხადში ან ნებისმიერ სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტში მონაცემები არაზუსტი, არასწორი ან არასრულია, ან ისინი არ შეებამება ფაქტიურ (რეალურ) მონაცემებს, მაშინ ექსპედიტორი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეცვალოს გადაზიდვის ღირებულება, ტვირთის ფაქტიური (რეალური) პარამეტრების ადეკვატურად.

2.2.11 შემკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს საჭიროებისამებრ ტვირთის თანმხლები დოკუმენტების (კომერციული ინვოისი, საბაჟო დეკლარაცია, წარმოშობის და შესაბამისობის სერტიფიკატები, ფიტო-სანიტარული და ვეტ-სანიტარული სერტიფიკატები დ სხვა) სრული პაკეტის დროული და შეუფერხებელი წარდგენა.

2.2.12 შემკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტის წინასწარი შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების საკმარისობა.

2.2.13 შემკვეთი ვალდებულია, ექსპედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, დროულად გასცეს სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა ექსპედიტორზე ექსპედიტორის მიერ 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად ან/და თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება ექსპედიტორის მიერ წინამდებარე პირობებით და/ან ექსპედიციის ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებას.

2.2.14 შემკვეთი ვალდებულია მიიღოს მის სახელზე გაგზავნილი ან უზრუნველყოს მიმღების მიერ ტვირთის მიღება. იმ შემთხვევაში, თუკი ვერ უზრუნველყოფს ტვირთის დროულ მიღებას დათქმულ დროსა და ადგილას, ვალდებულია აუნაზღაუროს ექსპედიტორს აღნიშნულით გამოწყვეული ყველანაირი ხარჯი თუ ზიანი.

2.2.15. მიაწოდოს ექსპედიტორს აუცილებელი ცნობები საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ, საბაჟო საზღვრის გადაკვეთის, საბაჟო პროცედურების გავლისა და სხვა მოქმედებათა შესასრულებლად და, შეთანხმების შემთხვევაში, იმპორტის გადასახადის გადასახდელად. გარდა ამისა, შემკვეთმა ექსპედიტორს უნდა გადასცეს აუცილებელი დოკუმენტები აღნიშნული ცნობების უტყუარობის დასადასტურებლად.

2.2.16. მოახდინოს საბაჟო გადასახადების დროული გადახდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

2.3 ექსპედიტორის ვალდებულებები

2.3.1 ექსპედიტორი ვალდებულია შეთანხმებულ ადგილას და შეთანხმბულ დროს უზრუნველყოს შემკვეთისთვის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების მიწოდება.

2.3.2 ექსპედიტორი ვალდებულია შემკვეთის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, ჩატვირთვის ფურცელი, სერტიფიკატები და სხვა თანხმლები დოკუმენტები) შესაბამისად უზრუნველყოს შესაბამისი სტრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.

2.3.3 ექსპედიტორი ვალდებულია კეთილსინდისეირად, დროულად და ჯეროვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები, ტრანსპორტირების ორგანიზებაში ჩართოს სათანდო კვალიფიკაციის მქონე მესამე პირები. ექსპედიტორი არ არის ვალდებული განახორციელოს კონკრეტული ტვირთის ორგანიზება თუკი არსებობს შესაბამისი საფუძველი (რაც მოიცავს, მაგრამ არ ამოიწურება შემდეგს: საშიში/საფრთხეშემცველი ტვირთების ტრანსპორტირება, მცენარეების/ცხოველების ტრანსპორტირება, საერთაშორისო ემბარგოს არსებობა).

2.3.4 ექსპედიტორი ვალდებულია მიაწოდოს შემკვეთს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე იმ გარემოებების თაობაზე, (მას შემდგომ რაც აღნიშული ცნობილი გახდება ექსპედიტორისთვის), რამაც შესაძლოა შეაფერხოს ან დროებით შეაჩეროს საქონლის ტრანსპორტირების განხორციელება.

2.3.5 შემკვეთის სურვილის შემთხვევაში (ასეთ დროს უნდა მოხდეს ცალკეული წერილობითი შეკვეთის განთავსება, მაგრამ არა უგვიანეს ინდივიდუალური შეკვეთის განთავსების თარიღისა) განახორციელოს ტვირთის/საქონლის განბაჟებასთან დაკავშირებული პროცედურები წინამდებარე პირობებითა და ექსპედიციის ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით შემკვეთის ინტერესების შესაბამისად.

2.3.6 დასაშვებია ტვირთის სხვა ტვირთის გამგზავნების საქონელთან კონსოლიდაცია და ამგვარად ტრანსპორტირება.

მუხლი 3. ანაზღაურება და ანგარიშსწორების წესი

3.1 შემკვეთი უხდის ექსპედიტორს წერილობით შეთანხმებულ (მათ შორის ელექტრონული/ელ-ფოსტის ფორმით) ტრანსპორტირების და საბაჟო მომსახურების ღირებულებას.

3.2 წინამდებარე პირობების 2.2.10 მუხლში აღნიშნული შემთხვევების არსებობისას, შემკვეთი აუნაზღაურებს ექსპედიტორს იმ დამატებით ხარჯებს, რაც ექსპედიტორმა გასწია ექსპედიციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. დამატებითი ხარჯების გადახდა ხორციელდება ტვირთის დანიშნულების ადგილას მიტანის და შემკვეთისთვის შესაბამისი ინვოისის მიწოდებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

3.3 ანგარიშსწორების ფორმას წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორება.

3.4 ექსპედიტორს აქვს გადასაზიდ ტვირთზე გირავნობის უფლება წინამდებარე პირობებისა და ექსპედიციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემკვეთის ყველა ვალდებულების დროულად, სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

3.5 ის ხარჯები, რომლებიც არ ექცევა ექსპედიტორის კონტროლის ქვეშ, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ექსპედიციის ხარჯებში. გარე ზემოქმედების შედეგად ფასების განსაზღვრასთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორების (ხარჯები, გადასახადების ტარიფები და განაკვეთი) ცვლილების შემთხვევაში, როგორიცაა ახალი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, ცვლილება საგზაო მოძრაობის გადასახადების (საგზაო გადასახადები), ზოგადი მოსაკრებლების, დამატებითი საგზაო ან/და სატვირთო მაქანის გადასახადების, გარკვეულ მონაკვეთზე ან ღამის განმავლობაში ავტომანქანის მართვასთან დაკავშირებული აკრძალვების შემოღება და ა.შ.. ექსპედიტორი უფლებამოსილია მიუსადაგოს გადაზიდვის ხარჯები შეცვლილ გარემოებებს და ასეთი მისადაგება ძალაში შევა გარემოებების ცვლილების შემდეგ.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

4.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის წინამდებარე პირობებით, ექსპედიციის ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებითა და წესით. გადაზიდვის განხორციელების დროს, ტვირთზე პასუხისმგებელია კონკრეტული გადამზიდველი, მოქმედი კანონმდებლობითა და წესების შესაბამისად.

4.2 თუ შემკვეთი დაარღვევს წინამდებარე პირობების 2.2 მუხლით გათვალისწინებულ ტექნიკურ, ნორმატიულ, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, სრულად და დროულად არ მიაწვდის საჭირო ინფორმაციას ან დოკუმენტებს, რაც უკავშირდება ექსპედიტორის მიერ წინამდებარე პირობებით ან ექსპედიციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, იგი სრულად აანაზღაურებს ყველა იმ დამატებით ხარჯსა თუ ზიანს, რაც აღნიშნულით იქნება გამოწვეული, ხოლო ექსპედიტორი არ იქნება პასუხისმგებელი შემკვეთის მოქმედებით გამოწვეული შედეგებით, რამაც შესაძლოა შეაფერხოს, გადაავადოს ან სხვაგვარად ხელი შეუშალოს ტვირთების ტრანსპორტირებას.

4.3. ექსპედიტორი პასუხისმგებელია FIATA-ს მოდელური წესების მიხედვით, გრდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში ეს არ ეწინააღმდეგება იმპერატიულ საკანონმდებლო დანაწესებს ან საერთაშორისო კონვენციებს (მაგ. CMR, მონრეალისა და ვარშავის კონვენციები, ჰააგისა და ჰამბურგის წესები, CMNI კონვენცია და ა.შ.). FIATA-ს მოდელური წესების 8.3.3 მუხლზე დაყრდნობით, ექსპედიტორის პასუხისმგებლობა არ უნდა აღემატებოდეს 1.800 SDR-ს (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილ საანგარიშო ერთეულს). FIATA-ს მოდელური წესების მე-3 მუხლის მიხედვით, ექსპედიტორი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს დაზღვევა (ტვირთის დაზღვევა), გარდა იმ შემთხვევისა როცა ექსპედიტორის მიერ ტვირთის დაზღვევა პირდაპირაა შეთახმებული მხარეთა შორის.

4.4. ექსპედიტორი პასუხისმგებელია საბაჟო წესების დარღვევაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც საბაჟო პროცედურების მოქმედებების შესრულება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მას ევალებოდა და თუ იგი მოქმედებდა ბრალეულად (განზრახვა/უხეში გაუფრთხილებლობა).

4.5. თუ შემკვეთი ექსპედიტორს მიაწვდის არასწორ ინფორმაციას ტვირთის სახეობის შესახებ, ხოლო გარეგნული დათვალიერებით ტვირთის გარჩევა შეუძლებელია და აღმოჩნდება, რომ მიწოდებულია ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული ნივთიერებები, იარაღი ან/და სხვა საბძოლო მასალა, ექსპედიტორი უფლებამოსილია აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო წარმოშობილ ზიანზე და შედეგებზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

მუხლი 5. ფორს მაჟორი

5.1. თუ ექსპედიციის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და შესრულების გაჭიანურება

გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად (ფორს მაჟორი: - სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, ხანძარი, გაფიცვები, ბლოკადა, ემბარგო, საქართველოს ან ტვირთის გადაზიდვის საბოლოო დანიშნულების ქვეყნის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, მათ შორის, საგადასახადო ორგანოების, მიერ გამოცემული აქტები, რამაც შეიძლება შეაფერხოს ან/და შეუძლებელი გახადოს მხარეთათვის მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და დადგენილი პირობების შესრულება და სხვ.), მაშინ მხარეები გააგრძელებენ ექსპედიციის ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულებას ამგვარი გარემოებების დასრულებისთანავე, ხოლო ფორს მაჟორით გამოწვეული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ექსპედიციის ხელშეკრულების დარღვევად. თუ ამგვარი გარემოებები გრძელდება და შეუძლებელს ხდის მხარეთათვის ექსპედიციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, მხარეები უფლებემოსილნი არიან, შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების საფუძველზე, მიაღწიონ მათთვის მისაღებ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

5.2 იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ექსპედიციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება 5.1. მუხლში მითითებული გარემოებების გამო, დაუყოვნებლი უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 6. პრეტენზიები

6.1 ტვირთის მიღებისას მისი გარეგნულად შესამჩნევი დაზიანების ან დანაკლისის დადგენის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია: (ა) ტვირთის მიღებისთანავე აცნობოს ექსპედიტორს აღნიშნულის თაობაზე (ბ) მოითხოვოს ექსპედიტორის (ან ექსპედიტორის წარმომადგენლის) დასწრება ტვირთის დათვალიერებაში (გ) უზრუნველყოს შესაბამისი აქტის შედგენა მხარეთა (ან მათი წარმომადგენლების) და დამოუკიდებელი, კომპეტენტური ექსპერტის მონაწილეობით და (დ) უზრუნველყოს შესაბამის ზედდებულში/სატრანსპორტო დოკუმენტში სათანადო აღნიშვნის შეტანა.

6.2 ტვირთის მიღების შემდგომ გარეგნულად შეუმჩნეველი დაზიანების გამოვლენის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია მიმართოს ექსპედიტორს შესაბამისი წერილობითი პრეტენზიით, ტვირთის მიღებიდან არაუგვიანეს 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში შემკვეთის პრეტენზია აღარ მიიღება.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ექსპედიციის ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მასში განსაზღვრული ვადით.

7.2 ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ექსპედიციის ხელშეკრულება მეორე მხარისთვის შეწყვეტამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით (რაც გავლენას არ იქონიებს ექსპედიციის ხელშეკრულების საფუძველზე არსებული/მიმდინარე ვალდებულებების შესრულებაზე, შესაბამისი ანგარიშსწორებების ჩათვლით).

მუხლი 8. შეტყობინებები

მხარეთა შორის ყველა შეტყობინება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინამდებარე პირობები ან ექსპედიციის ხელშეკრულება პირდაპირ ითვალისწინებს ელექტრონული ფოსტის გამოყენებას) მხარეს მიეწოდება წერილობით ან გადაეგზავნება ფაქსით ან სანდო კურიერის მეშვეობით მხარეთა მისამართებზე რომლებიც მოცემული იქნება ექსპედიციის ხელშეკრულებაში.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1 მხარეები მიმართავენ შესაბამის ძალისხმევას, რათა ყველა სადაო საკითხი ან/და წინააღმდეგობა გადაწყვიტონ ურთიერშეთანხმებისა და მოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ სადაო საკითხების ან/და წინააღმდეგობების მოლაპარაკებათა გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განსახილველად გადაეცემა თბილისის საქალაქო სასამართლოს. ქსპედიციის ხელშეკრულება დარეგილურიდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (მათ შორის შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების გათვალისწინებით).

9.2 ექსპედიციის ხელშეკრულების დებულებები და მის საფუძველზე მხარეთა მიერ მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. თითოეული მხარე თანხმდება არ გაამჟღავნოს მესამე პირებთან კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. აღნიშნული აკრძალვა არ მოქმედებს თუკი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება მოითხოვება კანონის საფუძველზე, სასამართლო ან სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ.

9.3 ექსპედიციის ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილად ცნობა ზეგავლენას არ ახდენს ექსპედიციის ხელშეკრულების დანარჩენი მუხლების იურიდიულ ქმედითობაზე, თუ ექსპედიციის ხელშეკრულების მიზანი მიიღწევა.

9.4 ექსპედიციის ხელშეკრულების ყველა შესაძლო დანართი შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9.5 ექსპედიციის ხელშეკრულებას შეიძლება ხელი მოეწეროს და მისი სკანირებული ვერსიები გაიცვალოს ელექტრონული ფოსტით, რა შემთხვევაშიც ასეტ დოკუმენტს ექნება იგივე ძალა რაც ორიგინალს. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ექსპედიციის ხელშეკრულებაში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით (ასევე ხელმოწერილი ცვლილების ელექტორნული ფოსტით გაცვლის გზით).

9.6 შემკვეთის მიერ შემუშავებულ რაიმე სახის ხელშეკრულების სტანდარტული პირობებს არ აქვს ძალა მხარეთა შორის.

9.7 ექსპედიტორის მოვალეობები ექვემდებარება როგორც შიდა ასევე საერთაშორისო კანონმდებლობას და/ან იმპერატიულ ნორმებს (განსაკუთრებით, ემბარგოსთან დაკავშირებულ ევროპულ და აშშ-ს რეგულაციებს). შემკვეთი ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი წესები. ექსპედიტორი არ არის ვალდებული განსაზღვროს ეწინაამღდეგება თუ არა საქონლის ტრანსპორტირება აღნიშნულ წესებს, ხოლო ასეთი წინააღმდეგობის არსებობისას, შემკვეთმა წერილობით უნდა აცნობოს ექსპედიტორორს. ამდენად, შემკვეთმა ზიანი არ უნდა მიაყენოს ექსპედიტორის სატრანსპორტო ქსელის უსაფრთხოებას.